

სამნი ძმანი

სამნი ძმანი იყვნენ. ორნი ბოროტნი და ხარბნი და ერთი მართალი და ღვთისმოსავი. გაიყარნენ. ავნი ძმანი ერთგან დადგნენ და კარგი ძმა ცალკერძ გააძეს.

წავიდა კარგი ძმა, ნახა ერთს ალაგს ერთი დიდი ქილა ფლური. ერთპირობათ ვერ ზიდა. წამოვიდა შინ. მას ღამესა ცოლს უთხრა: ამა და ამ ალაგს ქილით ფლური ვნახე და ხვალ წავალ, სახედარს წავიყვან და მოვიტანო.

თურე ძმანი ერდოდამ უმზერდენ, დახარბდენ. მასვე ღამეს წავიდენ, ხვალ ჩვენმან ძმამ არ დაგვასწრასო. მივიდენ, ღამპარი აანთეს, ნახეს, ქილა სრულობით გველითა და ღრიანკლით სავსე ეჩვენათ.

მათ ძმათა ესრე თქვეს: ჩვენმან ძმამ გვიღალატა. და უნდოდა ჩვენთვის ესმენინა, მოვსრულვიყავით, დაგვენახა და ეკბინათ, თვარა რა ჩვენს მზერაში თქვა იგი ამბავიო.

პირს მაგრა მოჰკრეს ორთავ ძმათ, აიკიდეს, ესრეთ თქვეს: მას ჩვენს ძმას ჩვენი სიკვდილი უნდოდა, და ჩვენ ცოლ-შვილით დავხოცოთო.

წაიღეს ქილა და ბანიდამ ჩაუგდეს. თქვეს: ქილა შეიმუსვრის, გველი და ღრიანკალი სახლს მოიცავს და ყველაყას დახოცსო.

მეორეს დღეს გაეღვიძა მას მართალს ძმას, ნახა, გუშინდელი ფლურები სახლში უყრია. მათ ძმათ მისი წახდენა მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ფლურები შინ გაურჯელად მიუტანა.

- თქვენც ჩემსა ამ რიგად რასმე სცდილობთ, მაგრამ ღმერთი თქვენის ნებისას არ მიზამს, იცოდეთ!

თქვა ჯუმბერ არაკი: